

ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

III



გამოცემა ეძღვნება

საქართველოს სამოციქულო,

ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიის

ავტოკეფალის აღდგენიდან 100

და

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

აღსაყდრებიდან 40 წლისთავს

* * *

This Edition is Dedicated to the

100th Anniversary of the Restoration of the Autocephaly

of the Georgian Apostolic Autocephalous

Orthodox Church

and the

40th Anniversary of the Enthronement of the

Catholicos-Patriarch of All Georgia,

Ilia II

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
The Folklore State Centre of Georgia

ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა

ანთლოგია

ტომი III

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

იოანე ოქროპირის ლიტურგიის საგალობლები
(II ნაწილი)

Georgian Chant
Anthology
Volume III

The Chanting Tradition of Eastern Georgia

Chants for the Liturgy of St. John Chrysostom
(Part II)

თბილისი
Tbilisi
2018



ანთოლოგიის III ტომში დაბეჭდილია იოანე ოქროპირის ლიტურგიის, აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის საგალობლები — სამოციქულოს წარდგომებიდან წირვის ბოლო „მრავალუამიერ“-ების ჩათვლით — სტეფანე კარბელაშვილის მიერ 1897, 1898 და 1899 წლებში გამოცემული სანოტო კრებულებიდან, და აგრეთვე — სტეფანე, პოლიევქტოს და ფილიმონ კარბელაშვილების, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის, მიხეილ ელიზბარაშვილის, დავით მოლოდინაშვილისა და გრიგოლ ჩხიკვაძის სანოტო ხელნაწერებიდან. ამ საგალობელთა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება.

Printed in Volume III of the anthology are the Eastern Georgian chants from the divine liturgy of John Chrysostom, from the apostolic processional up through the last “Mravalzhamier”, as transcribed and notated by Stephane Karbelashvili, in 1897, 1898, and 1899, as well as from the manuscripts of Stephane, Polievktos, and Philimon Karabelashvili, Mikheil Ippolitov-Ivanov, Mikheil Elizbarashvili, Davit Molodinashvili, and Grigol Chkhikvadze. This is the first time these manuscripts are being published in full.

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and Project Leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

III ტომის შემდგენელი და მუსიკალური რედაქტორი — სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compiler and musical editor: Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი — სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორები: რუსუდან წურწუმია და თამარ ჩხეიძე
Editors: Rusudan Tsursumia, Tamar Chkheidze

გამოცემაზე მუშაობდნენ: ნინო რაზმაძე, გიორგი კილაძე, გიორგი ხუნაშვილი, ნუცა ნიკოლეიშვილი
The publication was prepared by: Nino Razmadze, Giorgi Kiladze, Giorgi Khunashvili, Nutsa Nikoleishvili

მთარგმნელები: ერიკ ჰალვორსონი, მარიამ ცოცხალაშვილი, ლევან ვეშაპიძე (უმცროსი)
Translators: Eirik Halvorson, Mariam Tsotskhalashvili, Levan Veshapidze (junior)

ინგლისური ტექსტების რედაქტორი — ჯონ გრემი
English text editor: John Graham

კომპიუტერული უზრუნველყოფა: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, ლევან ვეშაპიძე, გიორგი აბრამიშვილი, გიორგი ჯოლბორდი
Computer services: Svimon (Jiki) Jangulashvili, Levan Veshapidze, Giorgi Abramishvili, Giorgi Jolbordi

დიზაინერი — ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი — ნინო რაზმაძე
Project coordinator: Nino Razmadze

© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Folklore State Centre of Georgia

© ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)
ISMN 979-0-802101-24-1 (მესამე ტომის)

შესავალი

ანთოლოგიის III ტომში დაბეჭდილია წმიდა იოანე ოქროპირის ლიტურგიის სვეტიცხოვლის სკოლის (კარბელაშვილთა სამგალობლო ტრადიციის) საგალობლები — (სამოციქულოს წარდგომებიდან წირვის ბოლო „მრავალუამიერ“-ების ჩათვლით) სტეფანე და პოლიევეტიოს კარბელაშვილების სანოტო ხელნაწერთა არქივებიდან და მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის, მიხეილ ელიზბარაშვილის, დავით მოლოდინაშვილის და გრიგოლ ჩხიყვაძის ხელნაწერებიდან.

ამ საგალობელთავან უმრავლესი ნიმუში პირველად ქვეყნდება.

წინამდებარე ტომში წარმოდგენილ საგალობელთა და მათი წყაროების თავისებურებების შესახებ, იხილეთ ანთოლოგიის შესავალი (იხ. ანთოლოგია „ქართული გალობა“, I ტომი) და II ტომში დაბეჭდილი II—IV ტომების საერთო შესავალი.

აქ კი, გთავაზობთ კომენტარებს III ტომში დაბეჭდილი ზოგიერთი საგალობლის თუ ლიტურგიკულ-სამგალობლო უანრის შესახებ.

1. ანთოლოგიის III ტომში მოცემული წარდგომები

წარდგომა ანტიფონური და რესპონსორული ფორმის საგალობელია.

თანამედროვე საშემსრულებლო ტრადიციით, მღვდელი, დიაკვანი ან მედავითნე კითხულობს (ან, რეჩიტატიული მელოდიით გაამღერებს) წარდგომის I მუხლის პოეტურ ტექსტს — ფსალმუნის (ზოგჯერ, ბიბლიის რომელიმე სხვა წიგნის) მუხლს, გუნდი კი, მას გალობით იმეორებს. შემდგომ დიაკვანი (მღვდელი, ან მედავითნე) იტყვის წარდგომის მომდევნო (1 ან 3) მუხლებს, რომელთაც გუნდი სათითაოდ, რეფრენის სახით დაურთავს წარდგომის I მუსიკალურ-სიტყვიერ მუხლს. ბოლოს დიაკვანი იტყვის I მუხლის ნახევარს, გუნდი კი მას გალობით დაასრულებს.

ქველი ქართული (და ზოგად-ქრისტიანული) ლიტურგიკული ტრადიციით, ეს რესპონსორული დიალოგი წარმოებდა არა კითხვისა და გალობის დაპირისპირებით, არამედ, მთლიანად გალობით — სოლისტსა (ის შეიძლებოდა ყოფილიყო სასულიერო პირიც) და გუნდს, ან ორ მგალობელს, ან ორ გუნდს შორის.

მსგავსი სტრუქტურული და საშემსრულებლო თავისებურება ახასიათებდა (და ზოგიერთი მათგანი მსგავსადვერა ნოტირებული ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის მიერ) „ღმერთი უფალს“, „ალილუიას“, სტიქარონის ფსალმუნის მუხლებსა და დასდებლებს და სხვა რესპონსორული წარმოშობისა და ფორმის, მიკროციკლური სტრუქტურის მქონე ჰიმნებს.

სვეტიცხოვლის სკოლის ჩვენამდე მოღწეულ საგალობელთა შორის მთლიანად გალობით შესასრულებლად (სავარაუდოდ, ორი გუნდის მიერ) ჩანერილია მხოლოდ შაბათის მწუხრის წარდგომის და/ან სტიქარონში ჩასართავი ფსალმუნის მუხლები „უფალი სუფევს, შვენიერება შეიმოსა“ (კარბელაშვილი, 1897:80) და მიცვალებულთა ლიტურგიის „ალილუია“ ფსალმუნის მუხლით „ნეტარ არს“ (იხ. წინამდებარე ტომის №132). სხვა წარდგომები და „ალილუიები“ დღევანდელ პრაქტიკაში მიღებული სახითაა შემორჩენილი ჩვენამდე.

რადგანაც სადღეისო ლიტურგიკული მოთხოვნები არ გვავალდებულებს, წინამდებარე ანთოლოგიაში წარდგომები და „ალილუიები“ არ არის განყობილი საგუნდო ანტიფონური დიალოგის სახით. თუმცა, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ანტიფონურად შესრულება. ამ სახით, სანიმუშოდ, მხოლოდ ერთი, აღდგომის I ხმის წარდგომაა განყობილი ჩვენ მიერ და წარმოდგენილია №77-ად წინამდებარე ტომში.

* * *

ანთოლოგიის III ტომში 1—5 ნომრებად დაბეჭდილია წარდგომების ე.ნ. საზოგადო ვარიანტები. ხელნაწერებში ამ წარდგომების მუსიკაზე მრავალი პოეტური ტექსტია დადებული — მარცვლების გამღერების სხვადასხვა ვარიანტით.

№1—5 წარდგომები ეფუძნებიან ერთ მელოდიურ არქეტიპს, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა წარდგომის სიტყვიერი ტექსტების გასამღერებელ მარტივ ინტონაციურ მოდელს.

გაურკვეველია, მიეკუთვნებიან თუ არა 8 ხმის სისტემას ეს მოდელი და მისი ვარიანტები. სანოტო პირველწყაროებში №1—5 წარდგომებს არ აქვთ მითითებული ხმა და მათზე სხვადასხვა ხმის წარდგომების ტექსტებია გაწყობილი. ამდენად, დასაშვებია ვარაუდი, რომ ისინი „თვითხმოვანნი“ არიან (ე.ი. არ მიეკუთვნებიან 8 ხმის სისტემას). ამ ვარაუდს საფუძველს უმარებს წარდგომების წყაროებში არსებული კომენტარები. მაგ: „მწუხრში“ №5 წარდგომის შესახებ აღნიშნულია: „ეს კილო [მელოდია] ძალიან გავრცელებულია“. სტ. კარბელაშვილი იმავე წარდგომის შესახებ ხელნაწერშიც აღნიშნავს: „ყველაზედ ადვილი და გავრცელებული კილო [მელოდია] წარდგომათა“. პ. კარბელაშვილის არქივის ერთ-ერთ ხელნაწერში (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №190) №1 წარდგომა ჩანერილია 8 ხმის წარდგომების შემდეგ და აღნიშნულია — „იგივე გავარჯიშებული კილოთი“-ო (მელოდიით). ცხადია, აქ ტერმინი „გავარჯიშებული“ ისტორიულად მიღებული და თანამედროვეობაშიც დამკვიდრებული მნიშვნელობისაგან („გარჯიშის“ შედეგად „გამშვენებული“, მელოდიურად განვითარებული და პოლიფონიზებული) განსხვავებული დატვირთვით არის გამოყენებული და ნიშნავს, რომ ეს მარტივი ვარიანტი, 8 ხმის წარდგომების განვითარებული, მდიდრული მელოდიებისაგან განსხვავებით, „სავარჯიშოა“, მოსწავლეთათვის იოლად დასამახსოვრებელი და პრაქტიკაში ადვილად გამოსაყენებელი.

ამასთან, დასაშვებია ვარაუდიც, რომ წარდგომების ეს ვარიანტები, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა სიადვილის გამო, ამავე დროს, 8 ხმის სისტემასაც მიეკუთვნებოდა; მხოლოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია ცნობამ, თუ რომელ ხმას.

№1—5 წარდგომებში ვლინდება მელოდიურ-კონტურული და სტრუქტურული მსგავსება პ. კარბელაშვილის არქივში დაცულ წირვის აღსავლების მელოდიებთან (იხ. ანთოლოგიის II ტომი, №294—309). №4 საგალობელი კილოური მიხრილობითაც ენათესავება ხსენებულ აღსავლებს.

* * *

წინამდებარე ტომში 6—47 ნომრებად დაბეჭდილია 8 ხმის წარდგომები სტ. და პ. კარბელაშვილების არქივებიდან, ასევე, „მწუხრიდან“ (კარბელაშვილი, 1897) და „ცისკრიდან“ (კარბელაშვილი, 1898).

სტ. კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივში ხელნაწერებში დაცულია 8 ხმის სისტემის წარდგომების რამდენიმე ციკლი. მათგან ერთ-ერთი ჯგუფი უმუალოდ კვირის წირვის, აღდგომის სამოციქულოს წინა წარდგომებია (ჩვენთან — 6, 12, 17, 21 და 26 ნომრები). ხელნაწერებში ისინი, ძირითადად, მხოლოდ I ხმის (მთქმელის) მელოდიით (II-III ხმების გარეშე) არის ჩანერილი.

წარდგომის უანრის მელოდიური მრავალფეროვნების წარმოჩენის მიზნით, წირვის წარდგომების ტექსტები „მწუხრსა“ (კარბელაშვილი, 1897) და „ცისკარში“ (კარბელაშვილი, 1898) მოცემული 8 ხმის წარდგომების ჰანგებზე გავაწყვეთ. წინამდებარე ტომში ისინი დაბეჭდილია 7, 14, 23, 28, 32, 39, 42 („მწუხრიდან“) და 9, 15, 19, 29, 33, 37 და 46 („ცისკრიდან“) ნომრებად.

სტ. კარბელაშვილის არქივში, ასევე, დაცულია, „მწუხრსა“ და „ცისკარში“ შეტანილი წარდგომების ხელნაწერი (ძირითადად სამხმიანი) ვარიანტები, რომლებიც თითქმის არ განსხვავდება, ან მცირედ სხვაობს ნაბეჭდი ვერსიებისაგან. ამ მასალიდან წირვის წარდგომების ინტონაციურ „დედნებად“ მხოლოდ რამდენიმე,



ნაპეტანი ნიმუშებისაგან შედარებით განსხვავებული წარდგომა გამოვიყენეთ. წინამდებარე ტომში ისინი დაბეჭდილია 24, 34, 43 (მწუხრის წარდგომების ჰანგებზე გაწყობილი), 30 და 40 (ცისკრის წარდგომების ჰანგებზე გაწყობილი) ნომრებად.

სტ. კარბელაშვილის სანოტო არქივშივე დაცულია ფურცელი (ძვ. პაგინაციით №430), ცისკრის ჟამის 8 ხმის წარდგომებით, რომელიც მელოდიურად სხვაობენ „ცისკარში“ დაბეჭდილი წარდგომებისაგან. ისინი, სამწუხაოდ, ამ ერთადერთი, შავი და დაუსრულებელი ხელნაწერის სახით არის შემორჩენილი. მათგან ზოგიერთი წარდგომა რამდენადმე გაურკვევლად არის ნოტირებული, ხოლო ზოგიერთში კი განსხვავებული ფერის ფანქრით შეტანილია ცვლილებები. ჩვენ მათ ჰანგებზეც გავაწყვეთ წირვის წარდგომების სიტყვები. ისინი დაბეჭდილია 10, 11, 16, 20, 25, 31, 36, 38 და 47 ნომრებად.

8 ხმის წარდგომების ვარიანტები სტ. კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივიდან ინტონაციურად ენათესავება „ცისკარში“ (კარბელაშვილი, 1898) მოცემულ ცისკრის ანტიფონებს. ზოგიერთ ნიმუშში ეს მსგავსება მეტად თვალსაჩინოა. ამასთან, ეს წარდგომები 8 ხმის სხვა საგალობლების (ტროპრები, „ღმერთი უფალი“, დასდებლები და ა.შ.) ცალკეულ ფრაზებსაც ჰგავს.

ანთოლოგიის წინამდებარე ტომში მოცემული №8, 13, 18, 22, 27, 35, 41, 45 წარდგომები პ. კარბელაშვილის არქივის (ცენტრ. არქ., ფ. 1461, №190 და №203 საქმეები) ორ ხელნაწერშია ნოტირებული: — საქმე №203-ში მათი I ხმის მელოდიებია ჩანსერილი, ხოლო საქმე №190-ში მოცემულია იმავე მელოდიების მქონე, შერეული გუნდისათვის ევროპული ტონალური ჰარმონიის გამოყენებით არანუირებული წარდგომები. ამავე წარდგომების ჰანგებზეა გაწყობილი პ. კარბელაშვილის არქივში (საქმე №203) დაცული სადაცი დღეებისა და დღესასწაულების წარდგომების (ჩვენთან №48, 51, 55, 58, 62, 66, 72—76) სიტყვიერი ტექსტებიც.

ზემოხსენებულ ჰიმნებში II-III ხმების პარტიები ჩვენი შეწყობილია — ქართლ-კახური გალობის „გამშვენებული“ სტილის შესაბამისად.

ალსანიშნავია, რომ ამ საგალობელთა ხელნაწერში (საქმე 203:79) მინაწერია რუსულ ენაზე: „ცისკრის ანტიფონები, ... [ვერ ამოვიკითხეთ], 188. ვ. კარბელაშვილი“.

მართლაც, ანტიფონები „ცისკარში“ (კარბელაშვილი, 1898) 188-ე გვერდზეა დაბეჭდილი. როგორც არაერთგზის ვლინდება ანთოლოგიის II-III ტომებში, ცისკრის ანტიფონები წარმოადგენენ მელოდიურ ფონდს, „დედნებს“ სხვადასხვა ჰიმნისათვის, მათ შორის, წინამდებარე ტომში დაბეჭდილი წარდგომებისათვისაც — როგორც სტეფანე, ასევე, პოლიევეტოს კარბელაშვილის არქივებიდან. იმ წარდგომებს შორის, რომელთა „დედნებადაც“ ცისკრის ანტიფონებია მითითებული, აშკარად შეიმჩნევა სინტაქსურ-სტრუქტურულ ერთეულთა ინტონაციური და კონტურული მსგავსება, თუმცა მათი მელოდიები სხვაგასხვაგვარად არის „აკინძული“ — ხმის ინტონაციურ ფონდში შემავალი მელოდიური ფორმულების სხვადასხვაგვარი კომპინაციით.

მინაწერიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ №8, 13, 18, 22, 27, 35, 41, 45 წარდგომების მელოდიების ხელნაწერები არა პოლიევეტოს, არამედ სტეფანე კარბელაშვილს ეკუთვნის და სხვადასხვა გარემოების გამოა მოხვედრილი პ. კარბელაშვილის არქივში.

48—76 ნომრებად დაბეჭდილია სადაცი დღეებისა და დღესასწაულთა წირვების სამოციქულოს წარდგომები.

№48, 51, 55, 58, 62, 66, ასევე, №72—76 წარდგომების I ხმის (მთქმელის) პარტიები მოცემულია პ. კარბელაშვილის არქივში (ცენტრ. არქ., ფ. 1461, №190 და №203 საქმეები) — მინაწერის მიხედვით, სტ. კარბელაშვილის ხელნაწერში. ეს



ნარდგომები იდენტურია პ. კარბელაშვილის არქივში დაცული 8 ხმათა (ნინამდებარე კრებულის №8, 13, 18, 22, 27, 35, 41 და 45) ნარდგომების მელოდიებისა.

სსენებულ ნარდგომებში II-III ხმების პარტიები ჩვენი შენყობილია.

№49, 50, 52—54, 56, 57, 60, 61, 63—65 და 67—71 ნარდგომები ჩვენი განყობილია №6—47 ჰიმნებიდან სტ. კარბელაშვილისეული ნიმუშების მელოდიებზე.

პ. კარბელაშვილის არქივში (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №203) ზემოხსენებულ 8 ხმისა და შვიდეულის სადაცი დღეების ნარდგომებთან ერთად ჩანერილია დღესასწაულთა №72—76 ნარდგომები.

ხელნაწერში №72—76 ნარდგომების მხოლოდ I ხმაა ნოტირებული, ამ საგალობლებში II და III ხმები ჩვენი შენყობილია.

2. „რომელნი ქერუბიმთა“ და 8 ხმის სისტემა

დღეისათვის უცნობია, მიეკუთვნებოდა თუ არა „რომელნი ქერუბიმთა“ და „და ვითარცა“ 8 ხმის სისტემას შუა საუკუნეების ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში.

წყაროებში შემონახულია ამ ორი საგალობლის №193—218 ვარიანტები, რომლებსაც, როგორც ლიტურგის სხვა საგალობლებს, პირობითად „თვითარცანს“ ვუწოდებთ და „რომელნი ქერუბიმთა“-სა და „და ვითარცა“-ს IV და VIII ხმების №222—232 ვარიანტები. ასევე, ფ. ქორიძის მიერ ჩანერილ ჟამისწირვის საგალობელთა შორისაც გვხვდება რამდენიმე თვითარცანი და VIII ხმის (ქორიძე, 1895:96; ანთ. I ტომი, №69) „რომელნი ქერუბიმთა“.

სტ. კარბელაშვილის მიერ ნოტირებული IV ხმის „რომელნი ქერუბიმთა“-ს იდენტური ვარიანტები ჩანერილი აქვთ დ. მოლოდინაშვილსა (ნინამდებარე კრებულის №224) და მ. ელიზბარაშვილსაც (№222). დ. მოლოდინაშვილის მითითებით, ეს საგალობელი „უფრო დიდ მარხვაში“ იგალობება, ხოლო მ. ელიზბარაშვილი მას სამღვდელთავრო საგალობელთა შორის ნარმოგვიდგენს.

ალსანიშნავია, რომ სტ. კარბელაშვილის არქივში „რომელნი ქერუბიმთა“-ს სსენებული ნიმუშების ხელნაწერები მოთავსებული იყო ორად გაკეცილ ფურცელში, ავტორის მინაწერით: „რომელნი ქერაბინი რვა წმაზედ და წმიდაო ღმერთოები“. ასევე, ალსანიშნავია, რომ №193—218, „თვითარცანი“ ჰიმნების იდენტური, „რომელნი ქერუბიმთა“-ს ერთ-ერთი ბოლონაკლულ ხელნაწერში, სტ. კარბელაშვილს მითითებული აქვს, რომ იგი „ა“ ხმისაა. ამ ფაქტებზე დაყრდნობით, ვვარაუდობთ, რომ სტ. კარბელაშვილმა იცოდა (ან აპირებდა აღედგინა) 8 ხმის სსენებული ჰიმნები; თუმცა, მისი მემკვიდრეობის ამ ნაწილიდან ჩვენამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ნიმუში მოვიდა.

დ. მოლოდინაშვილი №224 ნიმუშის ხელნაწერში ალნიშნავს, რომ იგი V ხმას მიეკუთვნება. მ. ელიზბარაშვილი კი, ამ „რომელნი ქერუბიმთა“-სა და „და ვითარცა“-ს შესახებ, თავისი ხელნაწერის სარჩევში მიუთითებს: „მეორე ხმისა“. სტ. კარბელაშვილის ცნობები უფრო სარწმუნოდ მიგვაჩინა, და ამიტომაც, ამ ჰიმნის მქონე ყველა ჰიმნთან ვუთითებთ, რომ ისინი IV ხმას მიეკუთვნებიან.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ საგალობლის სტ. კარბელაშვილისეულ ორ ხელნაწერში, ჩანერილია როგორც „რომელნი ქერუბიმთა“-ს, ასევე, ხარების IX ძლისპირის — „კიდობანსა მას სჯულისასა“-ს სიტყვიერი ტექსტი. ამ ჰიმნის კარბელაშვილთა ტრადიციის მელოდია განსაკუთრებით მსგავსია გელათის სკოლის იმავე საგალობლის ჰიმნისა. ხარების IX ძლისპირის ტექსტით ეს საგალობელი გამოქვეყნდება ჩვენი ანთოლოგის იმ ტომში, რომელიც მიეძღვნება სვეტიცხოვლის სკოლის სადღესასწაულო ჰიმნებს და რომლის გამოსაცემად მომზადებაზეც ამჟამად ვმუშაობთ.

3. №327 ევქარისტიული ჰიმნის „წყალობა! მშვიდობა!“ შესახებ

ანთოლოგის III ტომში მოცემული ევქარისტიული ჰიმნების შესრულება დასაშვებია როგორც იოანე ოქროპირის, ასევე, დიდი ბასილის წირვებში. ამ დაშვების სასარგებლოდ მეტყველებს ერთი და იმავე ევქარისტიული ჰიმნების არსებობა იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიის კარბელაშვილისეულ და ქორიძე-კერესელიძისეულ პარტიტურებში.

III ტომში დაბეჭდილ ევქარისტიულ ჰიმნთაგან ყურადღებას იქცევს №327 „წყალობა! მშვიდობა“, რომელიც ქართული გალობისა და ლიტურგიის თვითმყოფადობის, ასევე, გალობაში გამოვლენილი მხატვრული თავისუფლების დამადასტურებელი ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია.

ამ საგალობლის ხელნაწერში, ევქარისტიული კანონის პირველი 4 ნაწილის („წყალობა“; „და სულისაცა“; „გვაქვს უფლისა მიმართ“; „ლირს არს და მართალ“) სიტყვები გამდერებულია IV ხმის ერთ ჰანგზე და უშუალოდ ებმის ერთმანეთს. ამასთან, „წყალობა“-სა და „და სულისაცა“-ს შორის ცეზურა (ფერმატათი და ორმაგი ტაქტის ხაზით) აღნიშნულია ისე, რომ „და სულისაცა“-ს I სიტყვა „და“, დამაბოლოვებელი ხაზების მარცხნივ არის მოხვედრილი და გამდერებულია „წყალობა“-ს დამაბოლოვებელი მოტივის ბოლო ორ ბერაზე. „წყალობა“ ბოლოვდება სიმყარისა და დასრულებულობის ნაკლები ხარისხის მქონე კადანსითა და თანაულერადობით. ზოგადად, №327 საგალობელში, ევქარისტიული კანონის ნაწილებს შორის ნაკლები სიმძაფრის მქონე ცეზურებია.

როგორც საერთო მელოდიური საფუძვლის მქონე ევქარისტიულ ჰიმნთა სხვა ციკლებში, ასევე იდენტური ინტონაციური ფორმულებით აგებულ №327 „წყალობა! მშვიდობა!“-სა და №328 „წმიდაო, წმიდაო“-ს შემთხვევაშიც, მუსიკალური ტექსტების მეშვეობით, ევქარისტიული კანონის კომპოზიციური ერთიანობა და მთლიანობა მიღწეული.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში №327 ჰიმნის მელოდიის შემადგენელი ფრაზები სახელდებული და განმარტებულია, როგორც „ჭრელის“ სახელით („ჩაბანება“), ასევე, №326 და 328 საგალობლების მუხლის „ცანი და ქვეყანა“ საწყისი სიტყვებითაც. სწორედ ამ უკანასკნელი მითითების წყალობით აღვადგინეთ №327 ნიმუშში ნაკლული II და III ხმები და აღვნიშნეთ ალტერაციის ნიშნები.

№327 ჰიმნი საინტერესოა იმითაც, რომ მასში „წყალობა“-ს ოთხ სიტყვიანი პოეტური ტექსტი მღერდება ერთობ ვრცელ მუსიკალურ ტექსტზე, თუმცა ამის ლიტურგიკული საჭიროება არ არსებობს.

ცალკეული სიტყვების დიდ მანძილზე გამდერებით აგებულ მსგავს (მელიზმატიკური მელოდიის მქონე, „გამშვენებულ“) საგალობლებში უმთავრესი ფორმადქმნადი კატეგორია მუსიკალური საწყისია, უმთავრესი სუბსტანცია — მუსიკალური ინტონაცია. ამ რეალური, მატერიალური კატეგორიების მეშვეობით კი, რელიგიური, მეტაფიზიკური, სულიერი სამყაროს მხატვრულ-მუსიკალური განსახოვნება ხდება — ისევე, როგორც საერთოდ, საეკლესიო ხელოვნებაში. №327 ჰიმნშიც ესთეტიკურად ფორმდება ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულების დაწყებით გამოწვეული განცდები. აქ სიტყვების ხანგრძლივი იუბილაციებით გამდერება ევქარისტიული მისტერიის თავისებური შესავალია, რომელშიც მუსიკითა გადმოცემული ლოცვა, ვედრება და მადლიერება — ჯვარცმითა და აღდგომით, ზიარების საიდუმლოთი ჩვენთვის „წყალობისა და მშვიდობის“ მონიჭების გამო.

აღსანიშნავია, რომ №327 საგალობელში, „ლირს არს და მართალ“-ის პოეტური ტექსტის მხოლოდ საწყისი 4 სიტყვა („ლირს არს და მართალ“) მღერდება.

ეს, ქართული გალობის ჩვენამდე მოღწეულ სანოტო თუ აუდიო წყაროებში, ფაქტობრივად, ერთად-ერთი შემთხვევაა.

„ლირს არს და მართალ“-ის ასეთი ლაკონური ფორმა გვხვდება იმანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიების უძველეს ქართულ თარგმანებში. ეს ფორმა დამკვიდრებულია როგორც ძველ, ასევე, თანამედროვე ბერძნულ პრაქტიკაშიც. ასევე, მხოლოდ ამ სიტყვებით ბოლოვდება ევქარისტიული ლოცვის დიალოგი უძველეს — მოციქულთა ლიტურგიებში: მღვდელმსახურის „ვმადლობდეთ უფალსა“-ს პასუხად „ერი“ ამბობს: „ლირს არს და მართალ“, რის შემდეგაც, მღვდელმსახური ხმამაღლა კითხულობს ევქარისტიულ ლოცვას. იმავე ტექსტით ბოლოვდება ეს დიალოგი ამბროსიანულ, მოზარაბიკულ და რომაულ (მათ შორის, თანამედროვე) ლიტურგიებშიც.

4. საგალობელში „ლირს არს“ ჰარმონიული ორგანიზების ორი ვარიანტის შესახებ

III ტომში მოცემული №338—344 და IV ტომის №26 და №92 „ლირს არს“-ები წყაროებში ნოტირებულია ალტერაციის ნიშანთა ცვალებადობის გარეშე, ბოლომდე ერთი ბერძნობრივი — სტ. კარბელაშვილის, მ. იპოლიტოვიგანოვის, პ. (ან ფ.) კარბელაშვილის, დ. მოლოდინაშვილის, მ. ელიზბარაშვილის, გრ ჩხილაძის, დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვისა და დ. არაყიშვილის მიერ. იმავენაირად არის წარმოდგენილი №343 „ლირს არს“ „ნირვაშიც“ (კარბელაშვილი, 1899:31).

ამასთან, იმავე მელოდიურ არქეტიპზე დაფუძნებული, III ტომის №345—348 „ლირს არს“-ები სტ. კარბელაშვილის მიერ ნოტირებულია ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსხვავებით — მუხლებში ალტერაციის ნიშნებისა და ბერძნობრივის ცვლილებებით. იმავენაირად არის ნოტირებული №345 „ლირს არს“ „ცისკარშიც“ (კარბელაშვილი, 1898:68). ამ ნიმუშებში ალტერაციის არასაგასაღებო ნიშნები და ზედა მიმართულებით ტრანსპონირებული კილოური ნაგებობი ჩნდება ყოველ ॥ მუხლში („რათა გადიდებდეთ“, „ყოვლად უბინოდ“ „და აღმატებით“ „მხოლოსა ღვთისმშობელსა“). ხოლო მათ შემდგომ მუხლებში („რომელი მარადის“, „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა“, „განუხრნელად მშობელსა“) ბრუნდება । მუხლის „ლირს არს ჭეშმარიტად“ საგასაღებო ნიშნები (იხ. ანთოლოგიის III ტომის №345—348 ჰიმნები, აგრეთვე №338—344 და IV ტომის №26 „ლირს არს“-ების რედაქტირებული ვარიანტები).

თანამედროვე პრაქტიკაში დამკვიდრებულია „ლირს არს“-ის ყველა ვარიანტის შესრულება სწორედ „ცისკარისეული“ №345 „ლირს არს“-ის მსგავსად.

ანთოლოგიის III-IV ტომებში „ლირს არს“-ები წარმოდგენილია ორ ვარიანტად: — „ცისკრისეული“ „ლირს არს“-ის (და თანამედროვე პრაქტიკის) მიხედვით რედაქტირებული სახით და დედნისეული სახით.

იდენტური მელოდიური საფუძვლის მქონე, ა. ერქომაიშვილისაგან ჩაწერილ შემოქმედის სკოლის „ლირს არს“-ში (შულლიაშვილი, 2006:206), „ცისკრისეული“ (კარბელაშვილი, 1898:68) „ლირს არს“-ის მსგავსად, მუხლებში ალტერაციის ნიშანთა ცვლილებაა.

ქართლ-კახური „ლირს არს“-ების მსგავსი სურათია, იდენტური არქეტიპული მელოდიური საფუძვლის მქონე, ქორიძის, კერესელიძისა და ხუნდაძის მიერ ნოტირებულ „ლირს არს“-ებშიც. წყაროებში ისინიც ალტერაციის ნიშანთა ცვლილების გარეშეა ნოტირებული; მათი რედაქტირება-პუბლიკაცია და შესრულება კი, ალტერაციის ნიშნებით ურთიერთ-განსხვავებული მუხლებით ხდება — „ცისკრისეული“ (კარბელაშვილი, 1898:68) და ა. ერქომაიშვილისაგან ჩაწერილი (შულლიაშვილი, 2006:206) „ლირს არს“-ების გავლენით.



როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ ხელნაწერებში, არამედ ბეჭდურ გამოცემებშიც („წირვა“ (კარბელაშვილი, 1899:31) და „ცისკარი“ [კარბელაშვილი, 1898:68]) იდენტური მელოდიური საფუძვლის მქონე 2 საგალობელი განსხვავდება არა მხოლოდ ფაქტურულ-პოლიფონიური თვალსაზრისით, არამედ ჰარმონიული ასპექტითაც. თუკი „წირვაში“ დაბეჭდილ „ლირს არს“-ში საგასაღებო ალტერაციის ნიშნები არ იცვლება და ინტონაცია, ძირითადად, ერთ ბერათორიგში მდინარებს, „ცისკრისეული“ ვარიანტის რიგ მუხლებში ხშირია ალტერაციის ნიშნების (და შესაბამისად — ბერათორიგის) ცვლილება და ამ გზით წარმოქნილი კილოური გადახრები.

„ლირს არს“-ის ამ ასპექტით განსხვავებული 2 ვარიანტის არსებობა, სტ. კარბელაშვილის მიერ რედაქტირებულ გამოცემებში, მნიშვნელოვანი არგუმენტია, ორივე ვარიანტის არსებობის მართლზომიერების დაშვებისათვის.

ამასთან, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ, საგალობლის ჰარმონიის რედაქტირების დღეს დამკვიდრებულ პრინციპსაც, რომელიც გულისხმობს მსგავსი ნაგებობების ერთნაირი ალტერაციის ნიშნებითა და კილოური შეფერილობით რედაქტირებას.

ამიტომაც, ვაქვეყნებთ „ლირს არს“-ების ორ-ორ — (პირველწყაროსეულ და რედაქტირებულ) ვარიანტს და ორივე მათგანის შესრულებას თანაბრად დასაშვებად მივიჩნევთ.

რადგანაც თანამედროვე შემსრულებელთა თუ მსმენელის სმენა უკვე შეჩვეულია რედაქტირებულ (ყოველ II მუხლში ალტერაციის არასაგასაღებო ნიშნების მეშვეობით კილოური გადახრით) „ლირს არს“-ებს და ისინი აღიქმებიან, როგორც „სწორი“ (იმავდროულად, ა. ერქომაიშვილის აუდიოჩანაწერითა თუ კარბელაშვილთა ზოგიერთი ნიმუშით დადასტურებული) ვარიანტები, ამიტომ, ვფიქრობთ, უმჯობესია III ტომის №338—344 და IV ტომში დაბეჭდილი №26 „ლირს არს“-ების რედაქტირებული ვერსიების შესრულება.

ამასთან, ანთოლოგის III ტომის №338—344 და IV ტომის №26 და №92 „ლირს არს“-ების პირველწყაროებში მოცემული, აუთენტური, სისადავით გამორჩეული ნიმუშებიც არ არიან მოკლებულნი მუსიკალურ გამომსახველობასა და სილამაზეს. ამდენად, მგალობელთა სურვილის შემთხვევაში, ღვთისმსახურებაზე „ლირს არს“-ის ყველა ვარიანტის შესრულება სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია.

5. ზიარების თანმხლები საგალობლების შესახებ

დღეს მოქმედი ტრადიციით, ზიარების თანმხლები საგალობლებია „განიცადე“ (სამღვდელოების ზიარებისას) და „ხორცი ქრისტესი“ (მრევლის ზიარებისას).

„განიცადე“ ფსალმუნის მუხლია, რომელიც ლიტურგიაზე იგალობება მღვდლის მიერ წარმოთქმული ასამაღლებლის — „წმიდაა წმიდათა“-ს და მისი საპასუხო საგალობლის, „ერთ არს წმიდა“-ს შემდეგ, წმიდა ტარიგის განტეხისა და მღვდელმსახურთა ზიარების დროს.

„განიცადე“-ში ფსალმუნის მუხლი იცვლება საეკლესიო კალენდრისა და დღესასწაულის ისტორიულ-თეოლოგიური შინაარსის შესაბამისად და მის შემდეგ სამგზის იგალობება „ალილუია“. არსებობს კვირის (შვიდეულის) დღეების, საუფლო დღესასწაულთა, წმინდანთა და საზოგადო „განიცადე“-ები.

ლიტურგიკის ისტორიდან ცნობილია, რომ ძველად ყველა „განიცადე“-ს არამხოლოდ მღვდელმსახურთა, არამედ მრევლის ზიარების დროსაც გალობდნენ (გოგოჩაშვილი, 2007). დღეისათვის კი, მორწმუნეთა ზიარების დროს, ნებისმიერ წირვაზე იგალობება მხოლოდ აღდგომისა და ზატიკის „განიცადე“: „ხორცი ქრისტესი მოვიღოთ“.



ტერმინ „განიცადე“-ს წარმოშობა ცნობილია: წმიდა იაკობ მოციქულის ლიტურგიაში ზიარების დროს იგალობებოდა ფსალმუნის მუხლი „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტყბილ არს უფალი!“ (ფს. 33,9) და „ალილუია“. დღეისათვის ფსალმუნის ეს მუხლი მხოლოდ პირველშენირულ ძღვენთა ლიტურგიაში იგალობება. ხოლო მისი საწყისი სიტყვა „განიცადე“, ზიარების თანმხლებ საგალობელთა საერთო სახელწოდებად იქცა ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში.

შესაბამისად, „განიცადე“ თვითმყოფადი ქართული სამგალობლო-ლიტურგიკული ტერმინია. ამ საგალობელს ბერძნულ ეკლესიებში „კოινωνიკόν“ (ე.ი. „საზიარებო“), ხოლო სლავურ ეკლესიებში „Причастен“ („საზიარებო“) ეწოდება. ქართულ ლიტურგიაში ტერმინ „განიცადე“-ს არსებობა, ჩვენი ლიტურგიკული ტრადიციების სიძველისა და თვითმყოფადობის კიდევ ერთ მტკიცებულებად უნდა მივიჩნიოთ. ეს ტერმინი ქართულ ლიტურგიას იაკობის უამისნირვიდან შემორჩა, რომელიც, უძველესი პალესტინური საღვთისმსახურო წესია. ტერმინი „განიცადე“ ადასტურებს ქართულ მეცნიერებაში მიღებულ თვალსაზრისს, რომ ჩვენთან შუა საუკუნეებში, დიდ ხანს მოქმედებდა პალესტინური ტიპიკონი და აღასრულებდნენ იაკობის უძველეს უამისნირვას.

ზოგიერთ წირვაზე შესაძლოა 2 „განიცადე“ იგალობებოდეს. ასეთ დროს „ალილუია“ მხოლოდ მეორე „განიცადე“-ს შემდევ ითქმის.

დიდი რუსი ლიტურგისტი, სკაბალანოვიჩი აღნიშნავს, რომ რუსულ ტრადიციაში „განიცადე“-ს მუსიკალური ტექსტში ვნების შვიდეულის საგალობელთა ინტონაცია სჭარბობს, ე.ი. ამ რუსულ საგალობლებს საკუთარი ჰანგი გააჩნიათ.

დღეს მოქმედი ბერძნული წეს-ტრადიციით, „განიცადე“-ს გალობს მეორე გუნდის პირველდამწყები (სოლისტი) ნელა და განგრძობილად — იმ ხმაზე, რომელზედაც „რომელნი ქერუბიმთა“ იგალობებოდა, ანუ — დღის მთავარ ხმაზე (გოგოჩაშვილი, 2007). ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში წირვის საგალობლების რვა ხმის სისტემისადმი მიკუთვნებულობის მცირე ნიშნები თუ არსებობს,¹ შესაბამისად, „განიცადე“-ს მელოდიის არჩევის თანამედროვე ბერძნული წესი უცხოა ძველი ქართული ლიტურგიისათვის.

თუმცა, ქართულ ლიტურგიაში მეორე ტრადიციის არსებობის კვალი შეიძლება დავინახოთ დიდი ხუთშაბათის ბასილი დიდის წირვაში, რომელშიც „რომელნი ქერუბიმთა“-ს მაგივრადაც და „განიცადე“-დაც იგალობება VIII ხმის „სერობასა საიდუმლოსა შენისასა“.

ქართული ტრადიციით, „განიცადე“-ს საკუთარი მელოდია აქვს. ფ. ქორიძის ჩანაწერებში შემონახულია „განიცადე“-ს ორი ვარიანტი (ქორიძე, 1895:135; 151. ანთ. I ტომი, №115, 117). ისინი მაღალგანვითარებული პოლიფონიური აზროვნებით გამორჩეულ შედევრებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ფ. ქორიძემ ჩანერა და გამოსცა სადღესასწაულო „განიცადე“-ების კრებულებიც (ქორიძე, 1908),² სადაც იცვლება სიტყვიერი ტექსტი და საგალობელთა საწყისი მუხლები. საწყისი მუხლების შემდგომი მუსიკალური ტექსტი კი, ამ „განიცადე“-ებს და ქორიძის წირვაში დაბეჭდილ I „განიცადე“-ს (ქორიძე, 1895:135) საერთო აქვს.

კარბელაშვილების ჩანაწერებში „განიცადე“-ს მხოლოდ ერთი, ანთოლოგიის III ტომის №371 ნიმუშია შემონახული. სტ. კარბელაშვილის ჩანაწერებში ამ საგალობლის 2 ხელნაწერია. ორივეში მხოლოდ მთქმელის პარტია ჩანერილი და

¹ გელათის სკოლის VIII ხმის „რომელნი ქერუბიმთა“ (ქორიძე, 1895:96; ანთ. I ტომი, №69); VI ხმის „ლირს არს და მართალ“ (ქორიძე, 1895:114; ანთ. I ტომი, №88); IV ხმის (ქორიძე, 1901:52; ანთ. I ტომი, №159) და VIII ხმის „წმიდაო, წმიდაო“ (ფ. ქორიძის ხელნაწერი Q676:42); სვეტიცხოვლის სკოლის I, II, IV, VI და VIII ხმების „წმიდაო ღმერთო“; I, IV და VIII ხმების „რომელნი ქერუბიმთა“; IV ხმის „წყალობა მშვიდობა“ და „წმიდაო, წმიდაო“ (იხ. II-III ტომებში).

² ამ კრებულის საგალობლები ანთოლოგიის V ტომში დაიბეჭდება.



ისინი ზედმიწევნით იდენტურნი არიან. „განიცადე“ ჩაწერილი აქვს, ასევე, დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვსაც (ანთ. IV ტომი, №29). ქორიძისა და კარბელაშვილის მიერ ნოტირებული „განიცადე“-ების მსგავსად, ეს ნიმუშიც მელიზმატიკური მელოდიის მქონე, პოლიფონიური ვოკალიზის ხასიათის ჰიმნია.

შემოქმედის სკოლის მემკვიდრეობაში მსგავსი „განიცადე“ შემორჩენილი არაა.

როგორც ჩანს, გვიან საუკუნეებში, დამკვიდრდა „განიცადე“-ს გალობა წირვის ანტიფონების რეჩიტატიული ჰანგით — სიადვილისა და სიმოკლის გამო. მსგავსი რეჩიტატიული „განიცადე“-ები ქართული გალობის წერილობით წყაროებში რამდენიმე ვარიანტის სახით არის შემონახული.

აღვნიშნავთ, რომ III-IV ტომებში, წყაროებში არსებულ „განიცადე“-ებთან (III ტომის №368—371, IV ტომის №29, 144, 185) ერთად დაბეჭდილია ლიტურგიკული მოთხოვნილება-საჭიროებების გამო ჩვენ მიერ გაწყობილი „განიცადე“-ებიც:

III ტომში (იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის წირვებისათვის):

1) II ტომის №313 აღდგომის ანტიფონის რეჩიტატიულ ჰანგზე გაწყობილი №372 „განიცადე“;

2) II ტომის №355 „დიდი ის პოლლა“-ს მუსიკაზე გაწყობილი №373 „განიცადე“;

3) II ტომის №304 ანტიფონის რეჩიტატივისა და №357 „ის პოლლა“-ს მუსიკაზე გაწყობილი №374 „განიცადე“;

4) II ტომის №304 ანტიფონის რეჩიტატივისა და №358 „ის პოლლა“-ს მუსიკაზე გაწყობილი №375 „განიცადე“;

IV ტომში (გრიგოლ დიდის, პირველშენირულ ძლვენთა ლიტურგიისათვის):

5) III ტომის №371 „განიცადე“-ს მუსიკაზე გაწყობილი №145 „განიცადე“

6) III ტომის №368—370 რეჩიტატიული „განიცადე“-ების მუსიკაზე გაწყობილი №186 „განიცადე“;

7) III ტომის №371 „განიცადე“-ს მუსიკაზე გაწყობილი №187 „განიცადე“.

გრძელი „ის პოლლების“ მუსიკაზე „განიცადე“-ების პოეტური ტექსტების დადების მიზეზი ისაა, რომ მსახურების ამ მომენტში, სამღვდელოების ზიარების დროს გაჩენილი პაუზის გამო, ხშირად ხდება საჭირო სხვადასხვა საგალობლის შესრულება. სწორედ ამიტომაა, რომ XIX-XX საუკუნეთა გასაყარზე შესრულებულ წირვის ხელნაწერებსა თუ გამოცემებში, ამ ადგილზე შეტანილია „განმანათლებლი ჩვენი“, „უპირატესი რა მზისა მზე“, „შენ ხარ ვენახი“, „ვინ არა გნატრიდეს შენ“, „ნეტარ არს კაცი“ და სხვა საგალობლები. არადა, ქართული სამგალობლო ტრადიციით, აქ, უპირველესად უნდა შესრულდეს გრძელი „განიცადე“, რომლის ქორიძისეულ ორ, სტ. კარბელაშვილისეულ და დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვისეულ თითო ვარიანტს, სწორედ II ტომის №355, 357 და 358 „ის პოლლების“ მსგავსი, სიტყვიერ მარცვალთა მელიზმატიკური, ფართო გამღერებებით აგებული მელოდია და პოლიფონიური ფაქტურა აქვს.

ამასთან, კარბელაშვილისეულ, III ტომის №371 „განიცადე“-ს მელოდიაში საკმაოდაა გამოყენებული ხსენებული „ის პოლლების“ ჰანგებში არსებული ინტონაციების იდენტური მოტივურ-სინტაქსური ნაგებობები. სწორედ ამ სტრუქტურული, მელოდიური და საერთო ესთეტიკური მსგავსების გამო ავარჩიეთ „ის პოლლები“, „განიცადე“-თა ტექსტების გასამღერებლად.

ანთოლოგის III—IV ტომებში დაბეჭდილია შვიდეულის დღეთა და საზოგადო „განიცადე“-ების ტექსტები (აქვე მოცემულ „განიცადე“-თა მუსიკაზე საგალობლად). ხოლო საუფლო და სხვა ცალკეულ დიდ დღესასწაულთა „განიცადე“-ებს დავბეჭდავთ ანთოლოგის შესაბამის ტომში — სვეტიცხოვლის სკოლის სადღესასწაულო საგალობელთა კრებულებში.

* * *

თანამედროვე ლიტურგიაში მრევლის ზიარების თანმხლები საგალობელია აღდგომისა და ზატიკის „განიცადე“, „ხორცი ქრისტესი მოვიღოთ“.

კარბელაშვილთა ხელნაწერებში „ხორცი ქრისტესი“-ს, არა როგორც მრევლის ზიარების თანმხლები ჰიმნის, არამედ როგორც აღდგომის „განიცადე“-ს მხოლოდ ერთი ვარიანტია — ანთოლოგიის III ტომის №392 საგალობელი (რომელიც წირვის აღსავალთა რეჩიტატიულ ჰანგს ეფუძნება). „ხორცი ქრისტესი“ არ გვხვდება ქართლ-კახური გალობის არც ერთ სხვა წყაროში.

აღსანიშნავია, რომ ზ. ფალიაშვილის მიერ გამოცემულ „იოანე ოქროპირის ლიტურგიაში“, რომელშიც კომპოზიტორის მიერ შერეული გუნდისათვის არანუირებული და დამუშავებული საგალობლებია დაბეჭდილი, „განიცადე“ „აქებდით უფალსა ცათაგან“ და ზიარების საგალობელი „ხორცი ქრისტესი“, ერთ ნომრადაა დაბეჭდილი და ორივე ნიმუში ეფუძნება წირვის აღსავალთა, სახარების საგალობლებისა და „ერთ არს წმიდა“-ს რეჩიტატიულ ჰანგს (ფალიაშვილი, 1909:42).

იოანე ოქროპირის წირვის ფ. ქორიძისეულ გამოცემაში (ქორიძე, 1895) „ხორცი ქრისტესი“ არაა. ამასთან, ფ. ქორიძის მიერ გამოცემულ კრებულში „საგალობელი პირველშეწირულისა, ბასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა“ (ქორიძე, 1901:76) და ე. კერესელიძის ხელნაწერ ოქროპირის წირვის კრებულში (Q674:148), მოცემულია კონდაკის VI ხმაზე გაწყობილი საგალობელი „ხორცი ქრისტესი“ (იხ. ანთ. I ტომი, №161), რომლის შესახებაც ორივე წყაროში აღნიშნულია, რომ იგი ზიარების დროს უნდა შესრულდეს.

არტემ ერქომაიშვილისაგან ჩანაწერილ საგალობელთა შორის გვხვდება „ერთ არს წმიდა“-ს (და წირვის აღსავალთა) რეჩიტატიულ ჰანგზე გაწყობილი „ხორცი ქრისტესი“ (შუღლიაშვილი, 2006:218).

სწორედ ქორიძისეული და ერქომაიშვილისეული „ხორცი ქრისტესი“ იგალობება დღეისათვის მრევლის ზიარების დროს.

წყაროებში „ხორცი ქრისტესი“-ს ნიმუშთა ნაკლებობა, სავარაუდოდ იმით აიხსნება, რომ ერისკაცთა ზიარების თანმხლები ეს „განიცადე“ იგალობებოდა ან რომელიმე საზოგადო, რეჩიტატიულ ჰანგით (როგორც მაგალითად, ეს პ. კარბელაშვილის არქივის, ან ა. ერქომაიშვილისეული ნიმუშის შემთხვევაშია) ან მღვდელმსახურთა ზიარების თანმხლები „განიცადე“-ს მუსიკით.

ამ ვარაუდს, უპირველესად გვიმყარებს ზემოთ აღნიშნული ფაქტი, რომ დღეისათვის ლიტურგიაში მრევლის ზიარების თანმხლები „ხორცი ქრისტესი“, სიტყვიერი ტექსტითაც და ლიტურგიკული ფუნქციითაც წარმოადგენს „განიცადე“-ს, ანუ, სამღვდელობის ზიარების თანმხლებ ჰიმნს.

ჩვენი ვარაუდის კიდევ ერთ დასაბუთებად მიგვაჩნია ე. კერესელიძის ხელნაწერ Q674-ის ერთ-ერთი მინაწერი. წირვის საგალობელთა ამ კრებულში, „ერთ არს წმიდა“-ს ჩანაწერის შემდგომ, იქ, სადაც ნოტირებული უნდა ყოფილიყო „განიცადე“, აღნიშნულია (Q674:148): „ამ ერთ-არს წმიდა, ერთ-არს“ გალობის შემდეგ იწყება განიცადეს საგალობელი: „აქებდითი“, და სხვანი... ხოლო უკეთუ იყვნენ მზიარებელნი ვინმე, ვგალობთ ამას:“.

ამ მინაწერის შემდგომ Q674-ში ნოტირებულია „ხორცი ქრისტესი“ (და სამგზის „ალილუია“) და მხოლოდ ამის შემდგომ არის მოცემული კვირის „განიცადე“-ს „აქებდით უფალსა“-ს 2 ვარიანტი. ანუ, ამ წყაროში „ხორცი ქრისტესი“ „განიცადე“-თა რიგშია მოქცეული.



ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ „ხორცი ქრისტესი“ იგალობებოდეს როგორც აღსავალთა, ასევე, „ერთ არს წმიდა“-ს “რეჩიტატიულ ჰანგზე, კონდაკის VI ხმის მელოდიაზეც და „განიცადე“-ს იუბილაციური, განგრძობილი მელოდიისა და პოლიფონიური ფაქტურის მქონე მუსიკაზეც.

სწორედ ამიტომ, III ტომში, დავბეჭდეთ ჩვენ მიერ გაწყობილი რამდენიმე ვარიანტი საგალობლისა „ხორცი ქრისტესი“:

393-ე ნომრად — №366 „ერთ არს წმიდა“-ს მუსიკაზე; 394-ე ნომრად — სტ. კარბელაშვილის არქივში შემონახული „სულო ჩემო“-სა და მის „ცისკარში“ შეტანილი VI ხმის კონდაკების „რომელმან განცხოველებითა“ და „ნებსით სიკვდილითა“ (კარბელაშვილი, 1898:146—149) მუსიკაზე და 395-ე ნომრად — „განიცადე“-ს №371 ვარიანტის მუსიკაზე გაწყობილი „ხორცი ქრისტესი“.

6. „შენ ხარ ვენახი“-ს შესახებ

დღეისათვის მოქმედი ტრადიციით, „განიცადე“-ს შემდგომ, სამლოდელოების ზიარების დროს, იგალობება სხვადასხვა საგალობელი, რომლებიც წმიდა ზიარების საიდუმლოსთან მიახლებისათვის შესაბამის, ამაღლებულ განწყობას ქმნის ტაძარში. წირვის ქართლ-კახურ საგალობელთა XIX საუკუნის გამოცემულ თუ ხელნაწერ კრებულებში ამ ფუნქციით მოცემულია ნათლისძების დასდებელი „განმანათლებელი ჩვენი“ (იხ. №376—381 ნიმუშები). სადღეისოდ კი, „განიცადე“-ს შემდგომ, ყველაზე ხშირად სრულდება, ქართული გალობის სიმბოლოდ ქცეული, ყველასათვის ცნობილი და საყვარელი ლმრთისმშობლის ჰიმნი „შენ ხარ ვენახი“.

ცნობილია, რომ „შენ ხარ ვენახი“-სა და „ლმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“-ს იამბიკური ფორმის პოეტური ტექსტების ავტორია წმიდა მეფე დემეტრე I, ბერობაში დამიანე, ძე წმიდა მეფისა დავით აღმაშენებლისა.

პ. კარბელაშვილის არქივში (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №203) დაცული №385-386, IV ხმის „ლმრთისმშობელი და ყოვლად-პატიოსანი“-სა და „შენ ხარ ვენახი“-ს ხელნაწერებში აღნიშნულია, რომ ეს ჰიმნები სრულდება ლმრთისმშობლის მიძინების ცისკარზე, „აქებდით“-ის „ლმრთისმშობლისა“-დ — „ან და“-სა ზედა დასდებლად. დღეს ხმარებაში არსებულ „სადღესასწაულოში“ მიძინების „აქებდით“-ის „ლმრთისმშობლისა“-დ სხვა საგალობელია („შენსა უკვდავსა დაძინებასა, სძალო“) მოცემული.

წყაროებში დაფიქსირებულია „შენ ხარ ვენახი“-ს სხვა ლიტურგიკული დანიშნულებაც. კერძოდ, ანთოლოგის V ტომის №66 „შენ ხარ ვენახი“-ს გამოცემაში (ხუნდაძე, 1911:48) რ. ხუნდაძე აღნიშნავს: „იამბიკო — ლვთისმშობლის ქებათ თქმული (იხილე 13 მასს)“, ხოლო იმავე ტომის №67 „ლმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“-ს შესახებ იგი მიუთითებს (ხუნდაძე, 1911:48): „ლვთისმშობლის ქება იამბიკო, სწერია ივნისის 27-ს გიორგი მთაწმინდელის ხსენების დღეს“. მართლაც, 13 (ახალი სტილით — 26) მაისს, ექვთიმე მთაწმინდელის დღესასწაულზე, „აქებდით“-ის „ლმრთისმშობლისა“-დ, „სადღესასწაულოში“ „შენ ხარ ვენახი“-ია მოცემული, მითითებით „ან და დღესასწაულისა, ანუ ლმრთისმშობლისა, წმა იგივე (იგულისხმება „აქებდით“-ის ანტონ კათალიკოსისეული იამბიკო-დასდებლების IV ხმა — რედ.). დიმიტრი საქართულოს მეფისა, ბაგრატოვანისა“. 27 ივნისის (ახალი სტილით ივლისის), გიორგი მთაწმინდელის განგებაშიც „აქებდით“-ის „ლმრთისმშობლისა“ არის „ლმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“, მითითებით „ან და ლმრთისმშობლისა, წმა იგივე (აქაც იგივე იგულისხმება —



რედ). დიმიტრი საქართულოს მეფისა, ბაგრატიოვანისა“ რადგანაც ეს ორი ჰიმნი ანტონ კათალიკოსის იამბიკური დასდებლების IV ხმის „ღმრთისმშობლისა“-დაა მოცემული „სადღესასწაულოში“, სავარაუდოდ, ისინი ამ ფუნქციით სწორედ ანტონის მიერაა შეტანილი ლიტურგიაში. დემეტრე-დამიანეს იამბიკოების ანტონამდებლი საღვთისმსახურო დანიშნულების გამორკვევა მოითხოვს შემდგომ კვლევას, რაც ანთოლოგიის მიზნებში არ შედის.

ამასთან, ზ. ფალიაშვილის მიერ დამუშავებულ და გამოცემულ წირვის საგალობელთა კრებულში (ფალიაშვილი, 1909:43), „შენ ხარ ვენახი“ დაბეჭდილია სწორედ „განიცადე“-ს შემდგომ შესასრულებლად. ეს მიგვითითებს, რომ, თუ უფრო ადრე არა, უკვე ამ პერიოდში მაინც, ეს ჰიმნი ზიარების თანმხლებ საგალობლადაც გამოიყენებოდა წირვაში.

ამ ტრადიციის შესაბამისად, წინამდებარე ტომში 382, 384 და 386 ნომრებად დაბეჭდილია „შენ ხარ ვენახი“-ს რამდენიმე ვარიანტი. განსაკუთრებით გვსურს გავამახვილოთ ყურადღება, „შენ ხარ ვენახი“-ს №384 ვარიანტზე, რომელიც ამ საგალობლის ვარიანტებს (და, შეიძლება ითქვას, ქართულ საგალობლებს შორის) ყველაზე ცნობილი და პოპულარულია. ეს საგალობელი წინამდებარე ტომში წარმოდგენილთაგან ერთადერთია, რომელიც XIX-XX საუკუნეთა სამგალობლო-სანოტო წყაროებიდან არ გვაქვს აღებული. №384 „შენ ხარ ვენახი“ ზეპირი ტრადიციით მოვიდა დღევანდელ დღემდე. მიიჩნევენ, რომ იგი №382, სტ. კარბელაშვილის მიერ „ცისკარში“ დაბეჭდილი „შენ ხარ ვენახი“-ს ვარიანტია — გადამუშავებული გენიალური ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის მიერ.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „შენ ხარ ვენახი“-ს №384 ვარიანტში ნაკლებად ვლინდება ფალიაშვილის კომპოზიტორული ინდივიდუალობა. ეს ჰიმნი აპსლუტურად შეესაბამება ქართული გალობის მუსიკალურ ენას და ზოგად-ესთეტიკურ პრინციპებს, ამდენად, მისი ლიტურგიაზე გალობა სასურველად მიგვაჩინია. ეს „შენ ხარ ვენახი“ ქართული გალობის სიმბოლოდ იქცა. კომუნისტური იმპერიის ხანაში, იგი იყო ერთად-ერთი საგალობელი, რომელიც სრულდებოდა არა მხოლოდ ტაძრებში, არამედ — საკონცერტო ესტრადაზე, თეატრალურ თუ კინო-დადგმებში, ასევე, ჩვეულებრივ, ყოფით გარემოშიც.

ჩვენი აზრით, „შენ ხარ ვენახი“-ს ეს ვარიანტი, ამ ჰიმნის ხალხური, ან გახალხურებული ვერსიაა. სწორედ ასეთი განსაზღვრებით არის იგი დაფიქსირებული XX ს. აუდიოჩანაწერებსა თუ ხალხურ სიმღერათა სანოტო გამოცემებში.

ზ. ფალიაშვილის მიერ დამუშავებულ და გამოცემულ წირვის საგალობელთა კრებულში არსებული, 6-7 ხმიანი შერეული გუნდისათვის არანუირებული „შენ ხარ ვენახი“ (ფალიაშვილი, 1909:43) მნიშვნელოვნად განსხვავდება საგალობლის წინამდებარე ვარიანტისაგან. მართალია, ფალიაშვილის მითითების (სურვილის შემთხვევაში, 6-8 ხმიანი ფაქტურის სხვადასხვა ხმებში გადანაწილებული მოტივები ამოირჩეს და გადანაწილდეს სამ ხმაში) თანახმად აწყობილი სამხმიანი ვარიანტი, გარკვეულწილად, მსგავსი იქნება წინამდებარე ვარიანტისა. მაგრამ, ეს მსგავსება იმავე ხარისხისაა, რაც ამ „შენ ხარ ვენახი“-ს სხვა ყველა სამხმიან ვარიანტს შორისაა.

„ღმრთისმშობელი და ყოვლად-პატიოსანი“-სა და „შენ ხარ ვენახი“-ს ზემოთ აღნიშნული ლიტურგიკული ფუნქციის (მიძინების, ექვთიმე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელის განგებათა ცისკრის „აქებდით“-ის „ან და“-სა ზედა დასდებელი) გარდა, ხელნაწერებში დაფიქსირებულია „შენ ხარ ვენახი“-ს სხვა



ლიტურგიკული დანიშნულებაც. კერძოდ, ანთოლოგიის IV ტომის №193 „შენ ხარ ვენახი“-ს მ. ელიზბარაშვილისეულ ხელნაწერში აღნიშნულია: „ეძიეთ პარაკლიტონში კ [20] მაისის. ეგალობების სასძლოს“. XIX საუკუნის სანოტო წყაროებში ჩანს, რომ „შენ ხარ ვენახი“ ჯვრისწერის წესშიც სრულდებოდა — სავარაუდოდ, მექორწინეთა ტაძარში შემობრძანებისას, ძლისპირებთან „მოსლვისა შენისა“ და „შენ, რომელმან განანათლენ“ ერთად (ამ უკანასკნელის შესახებ ანთოლოგიის IV ტომის №192 ჰიმნის მ. ელიზბარაშვილისეულ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ იგი ნეფის ტაძარში შემოსვლისას უნდა შესრულდეს).

შესაბამისად, სვეტიცხოვლის სკოლის „შენ ხარ ვენახი“-ს დანარჩენი ნიმუშები წარმოდგენილია ანთოლოგიის IV ტომში — ჯვრისწერის განგების ჰიმნებთან ერთად (იხ. ანთ. IV ტ., №193, 207, 218, 220, 221, 222, 234).

* * *

XIX-XX საუკუნეთა გასაყარზე შესრულებულ სანოტო ხელნაწერებში ჩანს, რომ ლიტურგიაში დაკანონებული საგალობლების ჩანაცვლება ორიგინალური ქართული ჰიმნებით (მათ შორის იამბიკოებით) იმდროინდელი (შესაძლოა, შუა საუკუნეებისაც) ქართული ღვთისმსახურების დამახასიათებელი თავისებურება იყო.

ეს საკითხი მუსიკოლოგთა და ლიტურგისტთა შემდგომ კვლევას მოელის, თუმცა უნდა ითქვას, რომ ლიტურგიაში დაკანონებული მიძინების „აქებდით“-ის „ან და“-ს დემეტრე-დამიანესეული იამბიკოებით ჩანაცვლების, ან ქართველ წმინდანთა (ექვთიმე ათონელისა და გიორგი მთაწმინდელის) დღესასწაულზე „აქებდით“-ის „ან და“-დ მათი დაწესების ტრადიცია ეხმიანება და აგრძელებს ქართული გალობის განვითარების IX—XI საუკუნეთა ეტაპის თავისებურებებს — ცნობილია, რომ ამ პერიოდის ლიტურგიაში იგალობებოდა არა მხოლოდ ქრისტიანული სამყაროს მიერ საყოველთაოდ მიღებული საგალობლები, არამედ, მათ ანაცვლებდა აღიარებულ ქართველ ჰიმნოგრაფთა მიერ შექმნილი საგალობლებიც. მაგალითად, იოანე მინჩეს შექმნილი აქვს დიდი მარხვის (მათ შორის ბზობის დღესასწაულისა და ვნების შვიდებულის) მწუხრისა და ცისკრის სტიქარონ-დასდებლები და „გალობანი“, ბრწყინვალე აღდგომის „გალობანი“, მირქმის, ფერიცვალების, მიძინების, გიორგობის და სხვა წმინდანთა დღესასწაულების „გალობანი“ და მწუხრისა და ცისკრის სტიქარონ-დასდებლები (ხაჩიძე, 2000:169—349). ასევე, ცნობილია, გრიგოლ ხანძთელის მიერ შექმნილი მთელი წლის საღვთისმსახურო რეპერტუარის შემცველი „იადგარი“ (რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია), გიორგი მთაწმინდელისა და სხვა ქართველ ჰიმნოგრაფთა „გალობები“ და დასდებლები და ა.შ.. ვარაუდობენ (ხაჩიძე, 2000), რომ ქართული ორიგინალური ჰიმნები ანაცვლებდნენ დღესასწაულებისა თუ კონკრეტულ განგებათა საგალობლებს, რომლებიც ბიზანტიელ, ავტორიტეტულ და წმინდანად შერაცხულ ავტორთა მიერ იყო შექმნილი და დაკანონებული ლიტურგიაში. ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიული ნიმუშების წილი ლიტურგიაში დღესათვის მეტად მცირეა (ძირითადად, ესაა იგივე „შენ ხარ ვენახი“, ქართველ წმინდანთა მიმართ მიძღვნილი საგალობლები, ბასილი დიდის წირვის „ზეცით გამოჩინებულისა“ და სხვ.). სასურველია, XIX-XX საუკუნეთა სამგალობლო-სანოტო ჩანაწერებში დაიძებნოს ძველ ავტორთა (იოანე მინჩეის, მიქაელ მოდრეკილის, გიორგი მთაწმინდელის და სხვათა) მიერ შექმნილი ჰიმნების კომპოზიციური „დედნები“ (რაც ხშირად, საკმაოდ ადვილია, რადგანაც ისინი თავად ავტორებს აქვთ მითითებული) და მათ მუსიკაზე განყობილი ეს საგანძური გაცოცხლდეს ქართულ ლიტურგიაში. ეს პრობლემა სცილდება ანთოლოგიის მიზნებს, მაგრამ იმ საკითხთა რიგში შედის, რომელთაც წამოჭრის წინამდებარე გამოცემა.

დამოწმებული წყაროები

გოგოჩაშვილი, თინათინ. (2007). „განიცადე“: სამგალობლო ტერმინთა განმარტება. გაზეთში: ქართული გალობა. №9. თბილისი.

ერქვანიძე, მალხაზ (შემდგ.). (2002). ქართული გალობა, გელათის სკოლა. ტ. II, თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა საგალობლები. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი. თბილისი.

კარბელაშვილი, ვასილ. (1897). „ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“: „მწუხრი“. ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის მიერ. I ნაწილი. თბილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

კარბელაშვილი, ვასილ. (1898). ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“: „ცისკარი“. ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის მიერ. II ნაწილი. ტფილისი: ტიბოგრაფია „ცნობის ფურცელი“.

ფალიაშვილი, ზაქარია. (1909). ქართული საეკლესიო საგალობლები. (ქართლ-კახური კილო). წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ხმა-შეწყობილი ზაქარია ფალიაშვილის მიერ. შესრულებული ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების კონცერტებზედ. № 3. ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების გამოცემა.

ქორიძე, ფილიმონ. (1895). ქართული გალობა: ლიტურგია იოანნე ოქროპირისა: მღვდლისა და მღვდელთმთავრისათვის. გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძის და ივლიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედექ გ. ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. პარტიტურა №1. ტფილისი: მაქსიმ შარაძის გამოცემა და სტ.

ქორიძე, ფილიმონ. (1901). საგალობელი პირველ შენირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა. პარტიტურა №2. ქუთაისის ეპარქიის სამღვდელოების ხარჯით გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან; სარჩევში რომელ საგალობელსაც ვარსკვლავი უზის, გურიაშია დაწერილი და გადმოცემულია ანტონ ნ. დუმბაძისაგან. ტფილისი: გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. (ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ე. გრძელიძისა).

ქორიძე, ფილიმონ. (1908). გალობა: სადღესასწაულო განიცადეები. ტფილისი: მსწრაფლმბეჭდავი სტამბა „ძმობისა“.

შულლიაშვილი, დავით. (2006). ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით. მეორე გამოცემა. შულლიაშვილი, დავით (ნოტებზე გადაიტანა და შეადგინა). ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.

ხაჩიძე, ლელა. (2000). ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

ხუნდაძე, რაჟდენ. (1911). ქართული გალობა: ლიტურგია იოანნე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და გრიგორი ღვთისმეტყველისა. პარტიტურა. ნოტებზე გადაღებული მღვდლის რაჟდენ თ. ხუნდაძის მიერ გურულ-იმერულ სადა კილოზე. ტფილისი: გამოცემა ესტატე სოლომანის-ძის კერესელიძისა.

Скабалланович, Михаил (сост.). (2008). Толковый типикон : объяснительное изложение типикона : с историческим введением. 2-е изд., испр. — Москва: Изд-во Сретенского монастыря.

ხელნაწერები

Q674, Q689. დაცულია პ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი

Introduction

Chants of the Svetitskhoveli school (the Karbelashvili chant tradition) for the Liturgy of St. John Chrysostom are printed in Anthology Volume 3 (from the prokeimena of the epistle to the last “Many Years”) - from the notated manuscript archives of Bishop Stephan and Poliekvtos Karbelashvili, and from the manuscripts of Mikheil Ipolitov-Ivanov, Mikheil Elizbarashvili, Davit Molodinashvili, and Grigol Chkhikvadze.

A large portion of these chants are being published for the first time.

In regard to the peculiarities of the chants shown in the present volume and their sources, see the introduction to the anthology (Anthology “Georgian Chant”, Volume 1) and the general introduction for Volumes 2-4 printed in Volume 2.

Here is some commentary offered regarding specific chants or the liturgical chant genre printed in Volume 3.

1. Prokeimena in Anthology Volume 3

A prokeimenon is a chant having an antiphonal and responsorial form.

In the modern performance tradition, a priest, deacon, or reader reads (or reads to recitative melody) the poetic text of the first verse of a prokeimenon - a verse from the Psalms (sometimes from another book of the Bible). The choir however repeats the verse in chant form. After this, the deacon (priest or reader) says the following verses of the prokeimenon (1-3), with the choir chanting the first verse of the prokeimenon as a refrain after each verse. At the end, the deacon reads half of the verse and the choir finishes with the other half in chant.

In the ancient Georgian liturgical tradition (and generally the Christian tradition), this responsorial dialogue took place not through the juxtaposition of reading and chanting, but entirely through chanting between a soloist (possibly being a clergy member) and the choir, or between two chanters or two choirs.

The hymns “God the Lord”, “Alleluia”, the Psalm stichera, the Psalm verses, and hymns having other responsorial origins, forms, and micro-cyclical structures were characterized by a similar structural and performance idiosyncrasy (and some of them were notated in a similar fashion by P. Koridze and E. Kereselidze).

Among the surviving chants of the Svetitskhoveli school to be performed entirely in chant (supposedly by two choirs), only these have been notated: the prokeimenon for Saturday Vespers and/or the Psalm verses included in the sticheron, “The Lord reigns, He hath clothed Himself in majesty” (Karbelashvili, 1897:80), and the “Alleluia” for the funeral liturgy with the Psalm verse “Blessed is the man” (cf. #132 of present volume). Other prokeimena and Alleluias have survived in an acceptable form in modern practice.

Because this is not obligated by daily liturgical demands, the prokeimena and Alleluias have not been arranged in the form of a choral, antiphonal dialogue in this anthology. Yet, if it is desired, it is possible to perform them antiphonally. Only one prokeimenon for Pascha in tone 1 has been arranged by the editors in this form as an example and is presented as #77 in the present volume.

* * *

Some so-called common variants of prokeimena are printed in Volume 3 as #1-5. Many poetic texts have been set to the music of these prokeimena in manuscripts with various variations in singing the syllables.

Prokeimena #1-5 are based on one melodic archetype representing a simple intonational model for the verbal texts of various prokeimena to be sung.

It is uncertain if this model and its variants belong to the eight tone system or not. Prokeimena #1-5 do not have a tone indicated in the notated, original sources and the texts of prokeimena in various tones have been set to them. Thus, it is permissible to suppose that they are *tvitkhmovani* (ideomela melodies, i.e. melodies that do not belong to the eight tone system). The basis for this hypothesis is strengthened by the commentary extant in sources for the prokeimena. For example,

it is noted in the publication "Vespers" regarding prokeimenon #5: "This melody is quite widespread".

In regard to the same prokeimenon, S. Karbelashvili also notes in a manuscript: "This is the easiest and most widespread melody". Prokeimenon #1 has been notated in one of the manuscripts of P. Karbelashvili's archive (Central Archive, fund 1461, ms. #190) after the prokeimena in the eight tones and it is noted, "In the same embellished (*gavarjishebuli*) style". Here, the term "gavarjishebuli" is used in a different sense than the historically accepted meaning even established in modernity (embellished as a result of "*varjishi* - practice", melodically developed and made polyphonic) and means that this simple variant, in contrast to the developed, richly melodic prokeimena of the eight tones, is "for practice" (*savarjisho*), to be easily remembered by students and used in practice.

Moreover, it is possible to suppose that due to their simplicity, these variants of the prokeimena were widely used and simultaneously belonged to the eight tone system. But information about their tonal assignments has not survived.

